საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030191977341015

№ 01-82/ო **19** / მარტი / **2015** წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის საკითხთა განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 მაისის №321 ბრძანებულების, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის №249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ და „ჟ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) შეიქმნას საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის საკითხთა განმხილველი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაზა სოფრომაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) გაიოზ თალაკვაძე - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ვალერი კვარაცხელია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის წევრი;

დ) მარინა დარახველიძე - სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) ალექსი ჟვანია - სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის კადრების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიამ:

ა) განიხილოს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის საკითხები;

ბ) საქმიანობის წარმართვისას იხელმძღვანელოს „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 7 მაისის №321 ბრძანებულებითა და „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების - ორდენებისა და მედლების დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2009 წლის 31 ივლისის №1554 დადგენილებით;

გ) ჩაატაროს სხდომა, თუ სხდომას დაესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

დ) მიიღოს გადაწყვეტილება სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტად ჩაითვალოს სხდომის თავმჯდომარის ხმა;

ე) განიხილოს დაჯილდოების შუამდგომლობის აღძვრის მქონე დაწესებულების (ორგანოს) შუამდგომლობა, პირის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთი დაჯილდოების შესახებ;

ვ) პირის საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის შუამდგომლობაზე თანხმობის შემთხვევაში მოამზადოს წარდგინება და ყველა საჭირო საბუთთან ერთად წარუდგინოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს საქართველოს პრეზიდენტთან გასაგზავნად;

ზ) დააყენოს შუამდგომლობა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების ჩამორთმევის შესახებ;

თ) განსაზღვროს ჯილდოს კატეგორია წარმოდგენილი კანდიდატურის გამორჩეული პიროვნული და პროფესიული თვისებების, ქვეყნის წინაშე დამსახურების გათვალისწინებით;

ი) წარადგინოს წინადადებები უცხოეთში მცხოვრებ პირთა დაჯილდოების შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

3. კომისიის მდივანი არის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის კადრების სამმართველოს თანამშრომელი, კომისიის მდივანს დაევალოს კომისიის თავმჯდომარის დავალებით აწარმოოს სხდომის ოქმები და სხვა შესაბამისი დოკუმენტაცია.

4. სახელმწიფო ჯილდოზე წარდგინება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გადაწყვეტილებით შესაძლებელია განხორციელდეს ამ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის საკითხთა განმხილველი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის №01-270/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგეენკო